

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ქოველჰირწხული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზაჱეთი
გამოდირდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღღბენილია 1989 წელს.

№ 33 (1434) 6 - 13 ოქტობერი 1995 წ.

ჰაჰ სოფელსა აჰას და მისთა მღგჰურთა...



იგორ გირგბაძის ბრალდებები

პასუხგაუსაჰელი კითხვები

უწირვების ყოფილი შეფის იგორ გირგბაძის ღია წერილმა ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელიც გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ გამოქვეყნდა, მრავალი კითხვა დაბადა საზოგადოებაში. ეს კითხვები პასუხის გაცემას ითხოვს. ის, რომ გირგბაძე გათავისუფლებულია თანამდებობიდან, ის, რომ მასზე სანქციაა გაცემული დასაპატიმრებლად, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მის მიერ უმადღესი თანამდებობის პირებისათვის წამოყენებულ ბრალდებებს პასუხი არ უნდა გაეცეს. ამ აზრით, ალბათ, უპირანი იქნებოდა თვით ეს პიროვნებები ექებდნენ ჟურნალისტებს გირგბაძისათვის პასუხის გასაცემად. არადა, მიუხედავად იმისა, რომ რედაქციაში მოინდომა მათთან დაკავშირება, ჩვენი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ვალერიან გოგოლაშვილი ამბრაზურასავით გადაეფარა მინისტრ შოთა კვირიას და მასთან შეხვედრა „ვერ“ მომიხერხა. გენერალური პროკურორის, ბატონ ჯამლუტ ბაბილა-

შვილის პრეს-მდივანმა ბ-ნმა თემურ კვიციანი კი ოპერატიულად ის მაინც მოახერხა, რომ პროკურორთან შევიდა და მოკლე პასუხი გამოიტანა (როგორც ჩანს, გენერალურ პროკურორთან შესვლა შედარებით იოლია, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრთან), ჩვენ მათ ერთადერთი კითხვა დავესვით — რომ იგორ გირგბაძე ბრალს დებს შოთა კვირიას, თითქოს იგი კანონიერ ქურდს გივი ბერაძეს დაეკავშირებინოს ბატონ ჯაბა იოსელიანთან და მას თავის მხრივ გაუწევია რეკომენდაცია მაღალ პოსტზე დასანიშნად რომ კვირიას გირგბაძისათვის მკვლეელი მიუგზავნია და ეს მასალები ამ უკანასკნელს გენერალური პროკურორისთვის გადაუცია; რომ კვირია ათასგვარი „დადებითი“ ეპითეტითაა შემკობილი გირგბაძის მიერ, „სადისტი“, „ლოთი“, „მკვლეელი“ და ა.შ. ცხადია განაწყენებული კაცისაგან ამგვარი დახასიათებები ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ მაინც გვსურდა „მეორე მხარეს“ გაეცა ამ ბრალდებებზე პასუხი. როგორც ვთქვით, ბატონ შოთასთან ინტერვიუ შეუძლებელი აღმოჩნდა, გენერალურმა პროკურორმა კი

ასეთი რამ შემოგვითვალა — ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ხომ არ ვიტყვით, ასე გამოიძიებას ხელი ეშლებო, ჩემმა კოლეგამ აიღო ხელი არგანი (უკაცრავად კალამი) და ბატონ ჯაბა იოსელიანს მიადგა ინტერვიუსთვის, რათა მას დაედასტურებინა ან უარყო გირგბაძის ბრალდების ის ნაწილი, სადაც თვით ჯ. იოსელიანიც არის მოხსენიებული. ჯაბა იოსელიანს მოკლე ინტერვიუზე უარი არ უთქვამს, გათავაზობთ, ამ მცირე ჩანაწერს.

ლელა კოდალაშვილი

P.S. მკითხველებს ასევე აინტერესებთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის კონკრეტული პასუხები მის მიმართ ღია წერილში წამოყენებულ კონკრეტულ ბრალდებებზე, რაც ასევე არ ჩანს ჟურნალში. ის, რომ გირგბაძე პასუხის ღირსიც არ არის, არ გახლავთ არგუმენტი, რადგან მის პოლიტიკურ ფიგურად ქცევა სწორედ შევარდნაძემ შეუწყო ხელი და არა სხვა ვინმემ საქართველოში...

ჯაბა იოსელიანი: კვირიას დაწინაურებაში სულ მე ვმონაწილეობდი, ისა, შევარდნაძეს არ უნდოდა მისი მინისტრად დანიშვნა...

